

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი



III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

III საფეხური - ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) – III საფეხურის კვალიფიკაცია

პროგრამის ხელმძღვანელი:
პროფესორი გ. კახიანი

ბათუმი 2010

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151

II. პროფესიული განათლების საფეხური:

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა დიპლომი.

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

მესამე საფეხურის ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) პროფესიული პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ენიჭება ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) – III საფეხურის კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა:

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს, ყოველი დისციპლინა შესდგება 5-ის ჯერადი კრედიტებისაგან. ყოველ 5 კრედიტში საკონტაქტო არის 48/60 სთ ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისათვის გათვალისწინებულია 77/65 სთ. საწავლო პროცესი შესდგება 2 სემესტრისაგან და თითოეული სემესტრი გათვლილია 12 სასწავლო და 3 სასესიო კვირაზე.

მესამე საფეხურის ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) პროფესიული პროგრამა მოიცავს 35 კრედიტს. აქედან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ეთმობა 20 კრედიტი, თეორიულ სწავლებას 15 კრედიტი.

საფეხურზე გათვალისწინებულია სპეციალური დისციპლინები: სასწავლო პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა, რომლებიც მოიცავენ სასწავლო პროცესის აუცილებელი საგნების შესაბამის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მასალას.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება.

VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მიმართულია ვებ დიზაინის სფეროში პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განსაზღვრაზე.

იგი ორიენტირებულია ვებ დაპროგრამების პროფესიული განათლების მიღებაზე, ბიზნესში ვებ დიზაინის გამოყენებაზე და კვალიფიციური კომპიუტერის სპეციალისტის მომზადებაზე.

აღნიშნული სპეციალობით სწავლის უმთავრესი მიზნებია:

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების მიღებისა და პროფესიული ცოდნის შექმნა;
- ვებ დაპროგრამების საფუძველების პრინციპების, ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების გაცნობა;
- დამხმარე (უტილიტარულ) პროგრამებთან მუშაობის პრაქტიკული ცოდნის დაუფლება;

- პროფესიული პროგრამის მიზანს წარმოადგენს მისცეს სტუდენტს მრავალმხრივი ცოდნა ვებ დიზაინის სფეროში. ძირითადი დისციპლინები საშუალებას მისცემს სტუდენტს შეისწავლოს ვებ დაპროგრამების თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძვლები.

VII. სწავლის შედეგი:

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>იგის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ვებ გვერდის შემცველობის ნაწილის თანამედროვე ლოგიკური სტრუქტურითა და სათანადო ატრიბუტების გამოყენებით ფორმატირება (რაც საძიებო სისტემებისთვის მეტ ფუნქციონალურ დატვირთვას იძენს და ადვილად მოძებნადი ხდება ვებ-გვერდი); • ვებ გვერდების განლაგების მართვა CSS (Cascading Style Sheets) მეშვეობით. სათანადო მეთოდის გამოყენება, რომელიც შემდგომში ვებ გვერდზე განსახორციელებელი სტილური გაფორმების ცვლილებებისათვის მარტივად უზრუნველყოფს ყველა დოკუმენტში შესატან ცვლილებებს; • W3C ვალიდაცია (სტანდარტების შესატყვისობაზე ტესტირება); • მარტივი მულტიმედიური ობიექტების შექმნა და ვებ გვერდზე იმპორტირება; • JavaScript (პროგრამული ბიბლიოთეკების) ფუნქციების გამოყენება; • PHP სერვერის მხარის პროგრამირების ენა ძირითადი ფუნქციონალური ნაწილით; • მონაცემთა ბაზის მართვის სისტემებთან მუშაობა (Microsoft Access) • MySQL მონაცემთა ბაზის ლოგიკური დაგეგმარება და PHP პროგრამული ენის მეშვეობით საიტის ინფორმაციული ნაწილის გამართვა; • ვებ საიტის სერვერზე განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები („კოსტინგ“-ის მომსახურება).
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია:</p> <p>ვებ სტანდარტებით გათვალისწინებულ, დინამიურ, საშუალო დონის ვებ გვერდების შექმნას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; საიტის მარტივი მართვის სისტემის დამოუკიდებლად შექმნას, ხშირად გამოყენებადი ფუნქციონალური ნაწილის გათვალისწინებით (საიტზე არსებული - ზოგადი ინფორმაციის, სიახლეების, გალერეის, ტექსტური/ფოტო მასალის, ასევე მიმავრებული ფაილების მართვას: ჩასმას, განახლებას წაშლას); სხვადასხვა გამარტივებული მენიუს, გრაფიკული მასალის „სლაიდ ანიმაცია“, ვიდეო მასალის ჩვენებასა და სხვა საშუალო სირთულის JavaScript ტექნოლოგიების გამოყენებას; მულტიმედიური ინფორმაციის (აუდიო, ვიდეო, "ფლემ" ანიმაცია) გამოყენებას ვებ გვერდების შექმნის პროცესში; პროექტის დაგეგმარებასა და მის ეტაპობრივ განხორციელებას; შექმნილი ვებ საიტის ლოკალურად ტესტირებასა და შერჩეულ სერვერზე განთავსებას.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>დამკვეთისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლია ვებ საიტის სტრუქტურისა და შესასრულებელი სამუშაოს გააზრება, პრიორიტეტების განსაზღვრა და დაკვეთის კვალიფიცირებულად შესრულება.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლია ინტერნეტის ან სხვა საშუალებების გამოყენებით.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია პროფესიულ თემებზე საუბარი დამკვეთთან, მისგან ინფორმაციის მიღება, კონკრეტულ შემთხვევებში მისთვის რჩევის სახით საჭირო ინფორმაციის მიწოდება.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილია პრობლემის გადამისამართება სხვა სპეციალისტისთვის, შეუძლია</p>

	<p>დამკვეთის მოთხოვნის აღწერა და წერილობით გადმოცემა.</p> <p>შესრულებული დაკვეთის პირველადი განხილვის მიზნით, პრეზენტაციების მომზადება და საკუთარი ნამუშევრის წარდგენა კლიენტის, კოლეგებისა თუ ხელმძღვანელობისათვის.</p> <p>შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ტექნიკური აღწერილობის გაცნობა და კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე.</p> <p>აქვს ჯგუფში მუშაობის, კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების უნარი.</p>
სწავლის უნარი	<p>ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიება, გარჩევა და შესწავლა.</p> <p>ასევე გააჩნია პასუხისმგებლობა პროფესიული და კარიერული ზრდის თვალსაზრსით სწავლის შემდგომ გაგრძელებაზე.</p>
ღირებულებები	<p>გაცნობიერებული აქვს პროფესიული საქმიანობის იურიდიული და ეთიკური ასპექტები. კლიენტთან ურთიერთობისას იცავს პროფესიული ქცევის ნორმებს და ითვალისწინებს კლიენტის სურვილებს. პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.</p>

VIII. სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნები	სწავლის შედეგები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაცი ის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151 მესამე საფეხური						
ვებ გვერდების მართვის სიტემები	×	×		×	×	
სერვერული და კლიენტის მხარის დაპროგრამება	×	×		×	×	×
სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა ვებ გვერდების მართვის სიტემებში		×			×	
სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა სერვერულ და კლიენტის მხარის დაპროგრამებაში		×			×	×

IX. სასწავლო გეგმა

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					დამოუკიდებელი საათები	სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები						
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151 მესამე საფეხური								
ვებ გვერდების მართვის სისტემები <ul style="list-style-type: none"> კონტენტის მართვის სისტემები - I ვებ გვერდების განლაგების მართვა CSS 	5	12	36			7	70	125
სერვერული და კლიენტის მხარის დაპროგრამება ინტერნეტ დაპროგრამების საფუძვლები (PHP) – I <ul style="list-style-type: none"> კლიენტის მხარის სკრიპტები (JavaScript) მონაცემთა მართვის სისტემები 	5	12	36			7	70	125
ინგლისური ენა	5		48			7	70	125
სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა ვებ გვერდების მართვის სისტემებში	10			24	72	14	140	250
სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა სერვერულ და კლიენტის მხარის დაპროგრამებაში	10			24	72	14	140	250
სულ	35	24	120	48	144	49	490	875

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- ლაბორატორიულ მეცადინეობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

(ადეკვატურია პროფესიული სტუდენტის კრედიტების გაანგარიშების წესში მითითებული შეფასების სისტემის)

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

შეფასების მეთოდი:

- კომპიუტერული ტესტი
- ზეპირი გამოკითხვა
- წერთი შეფასება
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

XII. სწავლების მეთოდები

(სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები).

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- ლაბორატორიული სამუშაო
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
კონტენტის მართვის სისტემები	გრიგოლ კახიანი	კომპიუტერული ტექნოლოგიების დოქტორანტი
ვებ გვერდების განლაგების მართვა CSS - I	გრიგოლ კახიანი	კომპიუტერული ტექნოლოგიების დოქტორანტი
კლიენტის მხარის სკრიპტები (JavaScript)	გრიგოლ კახიანი	კომპიუტერული ტექნოლოგიების დოქტორანტი
ინტერნეტ დაპროგრამების საფუძვლები PHP)	ელდარ მსხალაძე	ბიზნესის მართვის მაგისტრი
მონაცემთა მართვის სისტემები - I	გულადი ფარტენაძე	ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
სპეციალური ინგლისური ენა	ლელია დიასამიძე	ინგლისური ფილოლოგიის დოქტორანტი
	ხათუნა ხაბაძე	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.

ფაკულტეტი უზრუნველყოფილია სასწავლო-კომპიუტერული კლასებით. პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი პროგრამული პაკეტების განახლებას.

- უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის;
- დეპარტამენტს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული კურსების შესწავლისათვის საჭირო ლიტერატურა. აგრეთვე ლიტერატურა მონათესავე დისციპლინებში.

დეპარტამენტში დაიწყო ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა, სადაც აკუმულირებული იქნება ჟურნალები, სტატიები და სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები.

XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სასწავლო პროგრამის შესრულებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ შესაძლებელია სწავლის გაგრძელება მომდევნო საფეხურზე.